საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №120/ნ

2025 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივლისის №125/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივლისის №125/ნ ბრძანების პირველი მუხლით (www.matsne.gov.ge, 22/07/2024, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.018543) დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) ახალგაზრდული პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

გ) პროგრამების მართვის დეპარტამენტი;

დ) საგრანტო პროექტების მართვის დეპარტამენტი;

ე) ახალგაზრდული ბანაკებისა და ცენტრების მართვის დეპარტამენტი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი დეკემბრიდან.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი